პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი ჰყამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 28 ოქტომბერი № 252 (16992) ფასი 2 კაპ. 1977

ხვალ, 29 ოქტომბერს, კომუნისტური შაბათობაა!

ყველანი შაბათობაზე!

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელობისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაეკმაყოფილა მესტიის რაიონის მოსახლეობის თხოვნა და ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზას დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელი მიანიჭა. (საქინფორმი).

შეზანიშნავი შრომითი გამარჯვება

ჯვარ-ხაიშ-მესტიის გზის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლებსა, მემონტაჟეებსა, დამპროექტებელთა კოლექტივებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — რესპუბლიკის ამ დიდმნიშვნელოვანი საერანსპორტო არტერიის მშენებლობის ვადამდე დამთავრებასა და მუდმივი ექსპლოატაციისათვის გადაცემას.

ეს წარმატება, რომელიც მოპოვებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის იუბილეს წინ, დიდი შრომითი საჩუქარია საბჭოეთის ქვეყნის უდიდესი დღესასწაულისათვის.

გზის მშენებლობაზე ბევრი კოლექტივის თავდადებული შრომა, მათ მიერ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება ღირსეული პასუხია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხმწიფოს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის იმ ზრუნვაზე, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მაღალმთიანი სვანეთის ახალ საავტომობილო გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის შემდგომი განვითარებისათვის, განამტკიცებს მის კავშირს რესპუბლიკის სხვა რეგიონებთან, გააქტიურებს მისი მოსახლეობის ცხოვრების ყველა მხარეს. კიდევ უფრო სრულად მოემსახურება საზოგადოებას სვანეთის მდიდარი ბუნებრივი პირობები, მისი ისტორიული ძეგლები და ტრადიციები, უფრო მრავალფეროვანი და ლამაზი გახდება მისი მცხოვრებლების ყოფა, გადიდდება მათი წვლილი საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითს საქმიანობაში.

მთიანი სვანეთის მშრომელებს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცათ, რომ ისარგებლონ ოქტომბრის მონაპოვართა ყველა სიკეთით, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობით, რომლებსაც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ამკვიდრებს, და თავის მხრივ უფრო სრულად მოახმარონ საზოგადოების კეთილდღეობას მთელი ძალ-ღონე, გამოცდილება და ენერგია.

ჯვარ-ხაიშ-მესტიის 112-კილომეტრიანი გზის მშენებლობა უაღრესად რთულ ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობდა, და მისმა ვადამდე დამთავრებამ მშენებლობის ყველა მონაწილის ძალების დიდი დაძაბვა, ნამდვილად გმირული შრომა მოითხოვა.

ამ გზის მშენებელ ადამიანთა შრომითი აქტიურობა და ენთუზიაზმი განაპირობა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გონივრულმა და მიზანმიმართულმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ, იმის შეგნებამ, თუ რა დიდი და აუცილებელი მნიშვნელობა ჰქონდა მშენებლობის ვადამდე დამთავრებას.

დიდი მუშაობა გასწიეს პარტიის მესტიის რაიკომმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა, რაიონის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის მშენებელთა, მემონტაჟეთა, დამპროექტებელთა კოლექტივებს, მშენებლობის ყველა მონაწილეა უსურვებენ ახალ შრომითს გამარჯვებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ და გამოთქვამენ რწმენას, რომ მათი შეწყობილი და მაღალორგანიზებული მუშაობის გამოცდილება ფართოდ გავრცელდება რესპუბლიკის მშენებელთა შორის, დაეხმარება მათ წარმატებით შეასრულონ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებები და საიუბილეო წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის დავალებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ზესტაფონი უპატრონებს

ჩვენი ინტერვიუ პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ბ. მერკვილაძესთან

უკანასკნელ დღეებში გადაეცემოდა ჩვენს ცივ, მაღალი ხარის სოფლებში ბოთოლა კიდეც, ლამით თითქმის ყველგან ყინვა. შემოდგომაზე ასეთი ცუდი ამინდები მოხუცებსაც კი არ ახსოვთ. სეროზული საშიშროება შეექმნა მოსავლის დაბინავებას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მევენახეები. თვითონ განსაჯეთ, რა დიდი ნებისყოფა და შემართება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ დილიდან საღამომდე ქარსა და წვიმაში კრიფოს ყურძენი და მეხლამდე ტალახში ხიდოს იგი სამანქანო გზამდე.

ამ სიძნელის დასაძლევად არ ეშველა მარტოოდენ ნებისყოფა, სახალხო დოვლათის შექმნისათვის პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია მშრომელებში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებამ, ოქტომბრის მე-60 წლისთავის იუბილესთვის მზადებამ. ახლა საქვეყნოდ უნდა მივულოცოთ ზესტაფონელ მშრომელებს შრომითი გამარჯვება — მათ უკვე უპატაჟეს ქვეყანას სახელმწიფოსადმი ყურძნის მიყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ამ სასიხარულო მოვლენასთან დაკავშირებით გავხეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესოდბრა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივანს ბ. მერკვილაძეს. აი რა თქვა მან:

ამინდის სიმკაცრეს ადამიანები შეეპოვარი შრომით დაებირისპირდნენ და გაიმარჯვეს კიდეც. **28 ოქტომბრისათვის მოკრეფილია და სახელმწიფო მარნებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 21.500 ტონა ყურძენი. ეს საიუბილეო წლის გეგმით ნავარაუდევზე მეტია.** რთველი გრძელდება, წინ ახალი ზღუდეები გვაქვს ასაღები, რა-დაც უნდა დაგვიჯდეს დაპირებული 26.000 ტონის ზღვარი უნდა გადავლახოთ.

რთველში განსაკუთრებით ისახელეს თავი **ფუთისა** და **კლდეეთის** კოლმეურნეობების მშრომელებმა. დღეისათვის მათ განადგურებული აქვთ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დაკალება. ქვეყნისათვის მიცემული პიროობა მესაროულეს **ილიკაურელმა, არგვეთელმა, ალავერდელმა, მეორე სვირელმა** მეევნახეებმა.

ყურძნით დატვირთული მანქანების ნაკადი არ წყდება ღვინის ქარხნებში. ახლა ძირითადად მოსახლეობის ზურგი ეკრიფება. მათ განკარგულებაშია 280 ავტომანქანა და ტრაქტორი. რაიონის მთელი აქტივი ეხმარება ინდივიდუალურ ჩამბარებლებს. ასევე ზრუნვას ნამდვილად იმსახურებს მეორესეირელი კოლმეურნე, წითელი დროშის და საპატრო ნიშნის ორდენების კავალერი ვ. გამრეკლაშვილი. მან სახელმწიფოს 9,2 ტონა ყურძენი მიჰყიდა, კვალტოელმა გ. გიბრიჭიძემ 8,9 ტონა სამპანურე მასალა მიიტანა მარანში, როდინოულელმა პეტრე გოგმა გ. ხუსაინაძემ — 8.310 კილოგრამი, ამავე სოფლის მცხოვრებმა ი. ვარდოსანიძემ კი დაკვეს უფრო მეტი — (8,366 კგ). ასეთები რაიონში ასობით არიან. ამ დღეებში კიდევ გამოჩნდებიან ახალი გმირები.

მთელი რაიონი ერთსულოვნად დაიარაზმა. ყურძნის საკრეფად ყველადღიერად 3.000 კაცზე მეტ გამოდის სამუშაოდ, ახლა ზეგრეთი ნახავთ მოწყალეებს, მეტალურგებს, მეტალისტებს, მეფეებს, ბანკირებს, ადამიანებს, რომლებიც მხარში უდგანან მევენახეებს დაძაბულ შრომაში. ქვეყანას უმზადებენ ძვირფას საუბილეო საჩუქარს.

ამგროლაურელთა ფვლილი

როგორც შარშან, ისე წელსაც ამბროლაურის რაიონის მშრომელებს ვახის მოგვა და ყურძნის მოსავლის ალება-დაბინავება ჭირეულ ამინდში მოუხდათ. ამას ბევრითი შრომა დაუპრალიბრეს და შედეგიც ურიგო როდია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გეგმა-ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 3.220 ტონა ყურძენი, ფაქტიურად უკვე მოიკრიფა და გადასამუშავებლად ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 3.225 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.—ეს „კომუნისტის“ რედაქციის აკრძალვის საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. **ბაიძემ,** რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. **ჩიტალაძემ.**

გამარჯვებულნი—მეშხუთმეტენი

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს მომდინარე წლის მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით. **რუსთაველმა მეტალურგებმა ზედიზედ უკვე მეთხუთმეტეჯერ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დარგის საწარმოთა შორის.**

რუსთაველები, რომლებიც შობენ ნაროდვომინსკელთა დ[illegible] ზით „საიუბილეო ვახტს — დ[illegible] ვრეულური ფინიშის!“, ჩინებული წარმოო მაჩვენებლებს ალ[illegible] წლის დამდეგიდან სამშობ[illegible] მიიღო ათასობით ტონა ზეგეთი ფოლადი, თუჯი, კოქსი, ნაგლინი, მილები. დაგალ[illegible] დამატებით რეალიზებულია [illegible] მილიონ მანეთისაზე მეტი პ[illegible] დუქცია. (საქინფორმი).

ვალდებულება გაანაღდე

დგას რა წინასაოქტომბრო საიუბილეო შრომითის ვახტზე, ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცარეგბარტიანი სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა იანვარ-სექტემბრის საწარმოო დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად შეასრულა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,4 პროცენტით გაანაღდა, საქონლის რეალიზაციისა 102,3 პროცენტ[illegible] გასული წლის შესაბამის პერ[illegible] თან შედარებით გეგმის გადამ[illegible] ბით გამოშვებული და რეალიზ[illegible] ლია 252 ათასი მანეთის სა[illegible] ლო-სამეურნეო იარაღ-მანქ[illegible] ბი, მისაბმელი ანარატები, [illegible] დარიგო ნაწილები, სახალხო [illegible] მარების საგნები.

დ. ჩიტაიშვილ[illegible]
ინჟინერი, ოპერატორ-დ[illegible]
პეტჩერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ

მოსპოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების **მაგალითისამებრ, თბილისის, ქუთაისსა და რუსთავის საწარმოების, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა — აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესწორებული 1977 წლის 29 ოქტომბრის კომუნისტურ შაბათობაზე მაღალნაყოფიერი შრომით.**

შაბათობისათვის აქტიურად ემზადებიან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ზესტაფონისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები.

საბჭოთა მეურნეობების მრავალი ათასი მუშა, კოლმეურნე, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა შაბათობას მოაწყობენ ხილის, ყურძნის, კარტოფილისა და სხვა საგანგებო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებაზე. 29 ოქტომბერს ეწყობა ავგრეთვე მასობრივი ღონისძიებანი, რომელთა დროს მოქალაქეები დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის მორთავენ და კეთილმოაწყობენ რესპუბლიკის ყველა დასახლებული პუნქტის ქუჩებსა და მოედნებს.

შაბათობისათვის მზადება ყველგან დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს, რაც მოჰყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებს.

„შევეკვეროთ ჩვენი სამშობლო, კონსტიტუციას!“ — ასეთია ქუთაისელ ავტოქარხნელთა მოწოდება, რომლებიც იბრძვიან, რომ საწარმოს კოლექტივმა უთუოდ შეასრულოს ნაკისრი მაღალი საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებანი, თანამიმდევრულად განახორციელოს თავისი კონსტიტუციური ფუნქციები. სულ უფრო ვითარდება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება. დევგეზით „ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი საწარმოები“. „შაბათობის დღეს გამოვუშვათ მაღალი ხარისხის პროდუქცია, ჩავაბაროთ იგი პირველი წარდგენისთანავე!“ — ასეთია ასობით კოლექტივის ლოზუნგი მომავალი შაბათობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოაჩნია, რომ საოქტომბრო შაბათობისა და მისი მოწყობისათვის მშრომელთა ინიციატივით დაწყებული მზადება რესპუბლიკის მშრომელებისა და საბჭოთა ლიდერებმა იქნება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მეორე წლის საგგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაოსახალხო ბრძოლაში.

რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების პატრიოტულ მოძრაობას მხარს უჭერენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკის საწარმოთა მოწინავე კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს 29 ოქტომბერს მოაწყონ საოქტომბრო კომუნისტური შაბათობა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დაეგალათ დასახონ და განახორციელონ ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებათა კომპლექსი, რათა უზრუნველყონ რესპუბლიკის მოქალაქეთა შეგნებული აქტიური მონაწილეობა კომუნისტურ შაბათობაში.

შაბათობის მოწყობა უნდა დაექვემდებაროს მისაღებ ამ შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის შემდგომი ამაღლების ამოცანებს, რომელიც გამოწვეულია დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის განხილვითა და მიღებით. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნას შაბათობის მოსწყობი შტაბები, ხოლო თითოეულ შრომითს კოლექტივში — შესაბამისი სამუშაო ჯგუფები შაბათობის მომზადებისა და მოწყობის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად და განსახორციელებლად, მისი მონაწილეებისათვის მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობის უზრუნველსაყოფად; წარმართოს საწარმოთა და დაწესებულებათა პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციის მეცადინეობა იმისათვის, რომ მაქსიმალურად ჩაებან მშრომელები კომუნისტურ საოქტომბრო შაბათობაში, თითოეულ კოლექტივში შექმნან მაღალი შრომითი ენთუზიაზმის ატმოსფერო, გამოუშვან ამ დღეს მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, მიაღწიონ შრომის უმაღლეს ეფექტიანობას მუშაობის ყველა უბანზე; ფართოდ გამოიყენონ მუშაკთა, განსაკუთრებით შაბათობის მომზადებისა და მოწყობაში თავგამოჩენილთა წახალისების სხვადასხვა ფორმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანოს ფართოდ გააშუქონ შაბათობის მომზადებისა და მოწყობის მიმდინარეობა, ყოველმხრივ განმარტონ და პროპაგანდა გაუწიონ მასების შემოქმედებითს აქტიურობასა და ინიციატივას, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიღწევებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ მოქალაქეები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი 1977 წლის 29 ოქტომბრის კომუნისტურ შაბათობაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, ახალ წარმატებებს მიაღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ინდოეთის რესპუბლიკა

სრული რწმენით ადასტურებენ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის ნაყოფიერმა განვითარებამ ცხადყო, რომ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მქონე სახელმწიფოებს წარმატებით და ერთმანეთისათვის სასარგებლოდ შეუძლიათ ითანამშრომლონ, თუ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით იხელმძღვანელებენ;

ცნობენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის ხელშეკრულების სულისკვეთებით ორი ქვეყნის მეგობრობისა და ყოველმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის არა მარტო შენარჩუნებას, არამედ შემდგომ განმტკიცებასაც;

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობასა და ერთმანეთის პატივისცემაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ყველა სახელმწიფოს მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში და სრულიად არ უშლის ხელს მესამე ქვეყნებთან მათი ურთიერთობის განვითარებას, რომელიც იგივე მიზნებს ისახავს;

ხელმძღვანელობენ იმით, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისადმი ერთგულება აუცილებელია საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევისათვის;

იწონებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ტენდენციებს, აგრეთვე ანალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების სულ უფრო მზარდ მონაწილეობას მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში;

კვლავ ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ითანამშრომლონ, იმპერიალიზმმ, კოლონიალიზმისა და რასიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა ლიკვიდაციის ღონისძიებებში;

საქვეყნოდ აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც განამტკიცონ მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც ორივე ხალხის ინტერესებს გამოხატავს და საერთაშორისო თანხმობისა და ურთიერთგაგების საქმეს ემსახურება.

I

აზრთა ყოველმხრივი გაცვლის დროს, რომელიც მეგობრობის, გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერეში მიმდინარეობდა, ორივე მხარემ თართოდ განიხილა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი, აგრეთვე საერთაშორისო საერთაშორისო პრობლემები.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს გაანეს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების წარმატებანი. რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზეა მიღწეული. აღნიშნეს, რომ მიღებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ისტორიული ნიშანსვეტია საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნეს, ის დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, რომლითაც საბჭოთა ხალხი ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ყველა ფორმის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების ერას.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა ხელმძღვანელებსა და მთელ საბჭოთა ხალხს მიულოცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის მოახლოებული დღეს სასწაული და სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება. რომელიც ამკვიდრებს საბჭოთა ხალხის მიღწევებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. აგრეთვე მეცნიერებაში, განათლებასა და კულტურაში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა ხელმძღვანელებს გაანეს ინდოეთის ეკონომიკური ამბები, რომელთა შედეგად ინდოელი ხალხის ნება-სურვილი სამგზავრ შეიქმნა ახალი მთავრობა, და ამ მთავრობის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგრამები.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა მოულოცეს პრემიერ-მინისტრსა და ინდოელ ხალხს დამოუკიდებელი განვითარების წლებში მოპოვებული წარმატებანი და მოიწონეს ინდოეთის რესპუბლიკის წილილი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა სიერთო ბრძოლაში.

ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოლმაღლესი დონის პირადი კონტაქტების განვითარებას, და გამოთქვა საერთო რწმენა, რომ სასარგებლოა სხვადასხვა დონეზე პერიოდული კონსულტაციები და აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და აქტიალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

II

ორივე მხარე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობამ გაუძლო დროს გამოცდას, არ აქვემდებარება კონიუნქტურულ მოსაზრებებს და აწმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის საქმის დიდმნიშვნელოვანი თაქტორია.

მხარეებმა ამაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა ფითარდება 1971 წლის აგვისტოში დადებული მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების სულისკვეთებით, რომელიც საიმედოდ ემსახურება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ინტერესებს. მათ აღნიშნეს, რომ მათს ურთიერთობას საფუძვლად ედება მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში მათი ინტერესების ერთობა, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის პატივისცემის, სუვერენიტეტის ზუსტად დაცვის და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კავლობაზე მიმდინარეობს ორი ქვეყნის თანამშრომლობის ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების შემუშავება. ორივე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის მუშაობაში. მიღწეული (**დასასრული მე-2 გვ.**)

სურათზე: საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის დროს.

ს.ა.ტ.ს.-ს.ქ.ინ.ფ.ო.რ.მ.ი.ს ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაცია

(დასასრული).

პროგრესი და გამოთქვეს რწმენა, **რომ ეხი ხელს შეუწყობს** ასეთი თანამშრომლობის სფეროს გაფართოებას ზემოაღინიშნული გრძელვადიანი პროგრამის განხორციელების მიშვეობით.

III

ძირითადი საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს ორივე მხარემ აღნიშნა, რომ თანდათან იმთხვევა ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის შიზედფლენები. მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ აქტიური მეგობრობა მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთების განმტკიცებისათვის, თანაბარ ლიკვიდაციისა და ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, და დაადასტურეს, რომ პატივს სცემენ ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების კანონიერ ფულებას.

საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა „მყოფთელებით აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში თანამშრომლობის შენილებისა და თანამშრომლობის ტენდენციები სულ უფრო ღრმა ხასიათს იძენს, და ხაზი გაუსვეს, რომ საჭირო მსოფლიოს ყველა რაიონში გავრცელდეს ეს პროცესი.

საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს თანამეგობრული საერთაშორისო ურთიერთობის ფუძეზეა და გადაუდებელ ამოცანად მიიჩნიეთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. ატომური ომის თავიდან აცილება და განიარაღება.

ისინი იმის მომხრე არიან, რომ უახლოეს ხანში დაიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ, აგრეთვე სხვა საერთაშორისო შეთანხმებანი მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა და სისტემათა იარაღის შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის შესახებ და ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის შესახებ.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევას, მათ შორის ატომურ განიარაღებას, რომელიც ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარება. ისინი იმით ხელმძღვანელობენ, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებს ყოველმხრივ განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური ასამბლეის მომავალი სპეციალური სესია, და იმიტომ გამოთქვამენ, რომ მალე გაიმართება განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის აზრით, ყველა სახელმწიფომ უარი უნდა თქვას ძალის გამოყენებისა თუ ძალით დამუქრებაზე უარის თქმა, სეკურინიტეტის პატივისცემა და საზღვრების ხელშეუხლობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. თანამშრომლობის განვითარება ეკონომიკურ და სხვა დარგებში სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლიანობისა და თითოეული ხალხის იმ უფლების საფუძველზე, რომ აირჩიონ საკუთარი პოლიტიკური და სოციალური სისტემა. სახელმწიფოთა ურთიერთობაში ასეთი პრინციპების დამკვიდრება ხელს შეუწყობს მკვიდრი მშვიდობის კონტინენტად აზიის გადაქცევას და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

განიხილეს რა სამხრეთ აზიის მდგომარეობა, მხარეები მეესალმნენ წარმატებას, რომელიც მოპოვებულია პრობლემების გადაწყვეტასა და ურთანხმებათა კომფეზერაში. ამ რაიონის ქვეყნებს შორის ორმხრივი მოლაპარაკების მეშვეობით. მათ აღიარეს, რომ ამას მოჰყვა სუბკონტინენტზე კეთილმეზობლობის ატმოსფეროს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ყოთილნაყოფიერი თანამშრომლობის პროცესის განმტკიცება გათავისუფლებს რესურსებს და გამოიყენებს ამ რაიონის ხალხთა ნივთ. კონსტრუქციული განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ სასარგებლო წვლილი იქნება რაიონის მშვიდობისა და სტაბილურობის საქმეში და ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას.

ორივე მხარე მხურვალედ მეესალმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

მხარეებმა ყველა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანის, პალესტინის არაბი ხალხის სამართლიანი მოთხოვნების, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის კანონიერი და ხელშეუხალი უფლების დაკმაყოფილების, ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების უფლების უზრუნველყოფის საფუძველზე. ამ მიზნების მიღწევისათვის ისინი მტკიცედ მოითხოვენ, რაც შეიძლება მალე განახლდეს ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებიც.

მხარეებმა წუხილი გამოხატეს იმის გამო, რომ გრძელდება სამეალონი და ეთიოპიის კონფლიქტი, და იმედი გამოთქვეს, რომ ეს კონფლიქტი მალე შეწყდება და მშვიდობიანად მოწესრიგდება.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი გადაწყვეტ გმობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ზიმბაბვეში უმცირესობის რასისტულ რეჟიმებს. სამხრეთ აფრიკის რეჟიმის მიერ ნამიბიის უკანონო ოკუპაციის. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს მოთხოვნებს, რომ ეპირობოდ და დაუყოვნებლივ გადაეცეს ძალაუფლება ზიმბაბვეს ხალხის უმრავლესობის წარმომადგენლებს, მეინფოს დამოუკიდებლობა, ნამიბიის ხალხს და დაუყოვნებლივ შეწყდეს აპარტეიდისა და რასიზმის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი თარწმუნებული არიან, რომ მეთმხრობლობის მოძრაობას შეუძლია დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთო ბრძოლაში საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის ნაშთების, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის ლიკვიდაციისათვის, ყველა ხალხს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაში, აგრეთვე შესაბამისი წვლილი შეიტანოს ისეთი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესწყობილების დამყარებაში, რომელსაც საფუძვლად დაედება ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპები.

ინდოეთის ოკეანის რაიონში ვითარების შესახებ აზრთა გაზიარების დროს მხარეებმა მხარი დაუჭირეს ამ რაიონის ხალხთა მისწრაფებას, რომ ეს ოკეანე მშვიდობის ზონად გადაიქცეს. ამასთან დაკავშირებით მათ მოიწონეს მოსპონ ინდოეთის ოკეანის აუზში არსებული უცხოელთა ყველა სამხედრო ბაზა და არ დაუშვან ახალი ბაზების შექმნა.

ორივე მხარემ ყველა დაადასტურა, რომ განზრახული აქვთ ყველაფერი შეუწყონ ხელი ევროპაში ერთიანობისა ერების ორგანიზაციის განმტკიცებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებაში, ხალხთა უშიშროების განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელშეწყობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების ზუსტი დაცვის საფუძველზე.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საზღვაო სამართლის საკითხებზე და დაადასტურეს, რომ განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ შეთანხმების მიღწევას საზღვაო სამართლის ახალი კონვენციის შესახებ, რომელიც მთლიანად მისაღები იქნება ყველა სახელმწიფოსათვის.

IV

საბჭოთა ხელმძღვანელები და საბჭოთა ხალხი გულთბილად მიესალმნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ვიზიტს სსრ კავშირში. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ ეს ვიზიტი და ნაყოფიერი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხელმძღვანელებს შორის იმის ახალი დადასტურება გახდა, რომ ორივე ქვეყანა ესწრაფვის კეთილად განვითარდეს და განამტკიცოს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, გააფართოოს ურთიერთგაგება და ნდობა მათ შორის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
მ. დესაი

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მ. დესაის საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტის შესახებ

1977 წლის 21-26 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მორარჯი დესაი. პრემიერ-მინისტრს ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბ. ვაჯპაი, პრემიერ-მინისტრის მთავარი მდივანი ვ. შანკარი, ინდოეთის საგარეო საქმეთა მდივანი ჯ. ს. მეხტა, ფოლადისა და შახტების სამინისტროს მდივანი მანტოშ სონდჰი, საგეგმო კომისიის მრჩეველი ლავრაჯ კუმარი, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი წარმომადგენლები, ინდოეთის პრესის წარმომადგენლები.

მოსკოვში ყოფნის დროს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა პატივი სცა ვ. ი. ლენინისა და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცის ხსოვნას, გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მორარჯი დესაი გაეცნო მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საკრებულოს საბჭოს მუშაობას და დაათვალიერა ახალი საბინაო მშენებლობის რაიონები. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საბჭოთა სახელმწიფოთა ფილოსოფიის ინსტიტუტის [illegible] ინდოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ინდოეთის ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერებთან, ასევე ინდოეთის ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის [illegible] ინდოლოგიის ინსტიტუტის [illegible] ინდოეთის ენებისა და ლიტერატურ

ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელობის გზა

დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია

დამთავრდა ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობა

ძვირფასი საიუბილეო საჩუქარი მაღალმთიანი სვანეთის მშრომელებს

ფასდაუდებელია ის დიდი ღვაწლი და მზრუნველობა, რომელსაც იჩენენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რუსპუბლიკის მთავრობა მაღალმთიანი რაიონების, კერძოდ მესტიის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად.

ამ დიდი ზრუნვის შედეგად მოკლე დროში მტკიცე მატერიალური ბაზა შეექმნა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას. საკმარისია ითქვას, რომ 1973 წლიდან დღემდე ყველა სახის მშენებლობის ხაზით ათვისებულია ერთნახევარჯერ მეტი თანხა, ვიდრე უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მთლიანად. 1975 წლის ნოემბერში რაიონის მშრომელებმა უმოკლეს დროსა და ურთულეს პირობებში წარმატებით დაამთავრეს საერთო-სატელევიზიო სისტემისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. მაღალმთიან რაიონს შეემატა ოცამდე სასკოლო, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საკაჭრო და სხვა დანიშნულების შენობა.

აღსანიშნავია, რომ მარტო წლეულს დამთავრდა და ამუშავდა კინოთეატრი, რესტორანი, სასტუმრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამი შენობა, ორი საბავშვო ბაღი, ორი სკოლა, სამი საავადმყოფო ობიექტი, კომუნალური მეურნეობას 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი დაბის ცენტრში და სხვ. რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთიანი და თანმიმდევრული მუშაობის შედეგად ჩვენს რაიონში დადგა დიდი აღმშენებლობითი პერიოდი, რომლის მასშტაბი ყოველდღიურად და ყოველწლიურად მატულობს. 1974-1976 წლებში რაიონში კაპიტალურ დაბანდებათა მოკულობამ 7,5 მილიონ მანეთს გადამეტა, რაც წინა ოცი წლის მთელ მოცულობას აღემატება!

მთელი ხალხი აშენებდა

ბ. სარალიძე,

საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი.

ასევე წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. განსაკუთრებით გადიდდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაჩვენებლები, რასაც ხელი შეუწყო სამთო მეცხოველეობის განვითარებამ. ამის შედეგად დიდი გადასახადებით შესრულდა საიუბილეო წლის მეცხოველეობის სულადობის, პროდუქტიულობის ზრდისა და წარმოების გეგმები, მკვეთრად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ზრუნვის შედეგია ფიზიკური და ინტელექტუალური ძალისა, ჯვარ-მესტიის დიდი და უნიკალური საავტომობილო გზის მშენებლობის დამთავრება **წლების განმავლობაში გაჭიანურებული გზის მშენებლობა სამი უკანასკნელი წლის დამკვრელური შრომის შედეგად წარმატებით დაგვირგვინდა. ეს არის დიდი გამარჯვება იმ პატრიოტი ადამიანებისა, რომლებიც მკაცრი ბუნების პირობებში უშიშრად ერკინებოდნენ მთებსა და მწვერვალებს და შეუძლებელი შეძლეს.**

სვანეთის განვითარების ახალმა პირობებმა, საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისა და მოსახლეობის მომსახურების ინტენსიურმა გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა გზის სრული რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და მოასფალტების საკითხი. ეს მით უმეტეს საჭიროა გახდა, იმიტომ რომ 1929-1937 წლებში გაყვანილი გზა ვიწრო და გაუვალი იყო თანამედროვე ტექნიკისათვის. მისი სიგანე 4-5 მეტრს არ აღემატებოდა. თანაკვეთა დროთა ვითარებაში გაფუჭდა, ავარიული გახდა, შეწყდა სარაიონთაშორისო ავტობუსების მიმოსვლა,

1974 წლის 20 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სპეციალურად იმსჯელა ჯვარ-ხაიშ-მესტიის გზის მშენებლობის დამთავრების დაჩქარების საკითხებზე. სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა გზის მშენებლობის ტექნიკური აღჭურვისათვის. პარტიის მესტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმაც მიიღეს დადგენილება მშენებლობის დაჩქარებისა და მასში რაიონის მშრომელთა მოწილეობის შესახებ. ყოველმხრივ გავაანალიზეთ არსებული მდგომარეობა და დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი.

გზის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოები 1975-1976 წლებში თვალსაჩინო წარმატებებით აღინიშნა. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების საინსტრომ (მინისტრი — ვ. რობიტაშვილი) და „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტმა (მმართველი — ი. არობელიძე) მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი დაგისახებული მოვალეობის შესრულებას. გზაზე თავი მოუყარეს ტექნიკური რესურსების გარკვეულ ნაწილს, გზის მთელ რიგ მონაკვეთზე ურთულეს პირობებში ააშენეს რკინაბეტონის უნიკალური აიუნები, ტექნიკური ნაგებობანი, გზის საყრდენი კედლები და სხვ. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს (უფროსი — ა. ჩალაძე), მე-16 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — ჯ. ჭურდიანი), მე-14 საგზაო საექსპლოატაციო უბნის (უფროსი — შ. გურჩიანი) მუშაკებმა, რომლებმაც უფრო მეტი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე მთელ წინა წლებში შესრულდა.

1976 წლის მაისში მესტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება ხაიშ-მესტიის რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობის მდგომარეობისა და რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. ამ დადგენილებაში სრულყოფილად შეფასდა გზის მშენებლობის კალკულიული ნაკლოვანებანი და დაისახა მათი გამოსწორების გზები, საშუალებანი და მეთოდები.

